


პვირა 14 ივლისი 1929 წ.

ნატვრა

ჟოლოლოვის მუზეუმში



—რა კარგი იქნებოდა, რომ ასე
 გრძელი კისერი მქონდეს! ჩვენს გამ-
 გეს მოსახვევიდანაც შევამჩნევდი და
 სალამს მივსცემდი!

ი.წ.

ქართული კალენდარი




ივლისი 8 ორშაბათი



1919 წ. საფრანგეთის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა ქ. ოდესას. ბურჟუაზიული და იმპერიალისტური საფრანგეთი, მიუხედავად იმ ლათაიებისა, რომელიც ფრანგთა სირაინდესა და თავისუფლების მოყვარეობაზე არსებობს, ყუმბარებითა, ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდება ყველა იმბათ, ვინც მის ურჩობას იჩემებს. ამისი მაგალითია რიფები და მაროკოს სხვა აჯანყებული ხალხები. რუსეთის ხალხი ხომ რიფები არ იყო, ეს მშვენივრად იცოდა საფრანგეთის საზღვაო ძალების სარდლობამ. მაშასადამე რუსეთის დამორჩილებასა და ურჩობის აღმოფხვრაზე ლაპარაკიც შეტია. მხოლოდ შეფის დროინდელი ვალები აწუხებდა საფრანგეთის ბურჟუაზიას მაშინ, აწუხებს დღესაც და მომავალშიაც კაი ხანს დარჩება წუხილად.

ივლისი 9 სამშაბათი



1920 წ. შეთანხმება სპაში გერმანიის ვაზიარალების შესახებ. შეთანხმდენ ისინი, ვინც გერმანიაში თავის ყოველმხრივ მეტოქეს ხედავდნენ, სხვათა შორის შეიარაღებულ მეტოქესა და საშპმ მტერსაც. ასეთი მტრისთვის კლანჭების შეკვეცაში გერმანიის მტრები, რა თქმა უნდა, შეთანხმდებოდნენ. მით უფრო, როცა, ამის შემდეგ, რამდენიმე წლის გასულს უფრო ფართოდ დაისვა ვაზიარალების საკითხი. მხოლოდ აქ ერთი საკითხავი: წარსულ წელში რათ მისცეს, მაგალითად, იმავე გერმანიას ნება დადებითად გადაეჭრა საკითხი ახალი დრედნოუტის აგების შესახებ? — იმიტომო—იროანიული სიცილით ამბობს ამაზე ტარტაოოზი—რომ ამ დრედნოუტის ზარბაზნები გერმანიის აღრინდელი მტრებისაკენ კი არ იქნება მიშვერილი, არამედ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით. თუ, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებასაც არ შეუტევალა ვინმე სხვა ახალმა ძალამ მიმართულება..

ივლისი 10 ოთხშაბათი



1905 წ. ქ. ტფილისსა და ტფილისის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო წესები. მაშინდელი მთავრობაც სამხედრო წესებს იმიტომ აცხადებდა, რომ რევოლიუციონურმა ხალხმა კიდევ უფრო ადრე გამოაცხადა ასეთივე წესები სწორედ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „სესხი გადახდითა“—ო, ნათქვამია და თვითმპყრობელობაც არ ფიქრობდა მაშინ ხალხის ვალში დარჩენას. 1905 წელი, როგორც ვიცით, დასრულდა ამ ვალდებულებათა მეფის სასარგებლოდ გადახდევინებით. ახლა ხალხი დარჩა მეფის ვალში, რომელიც ამ უკანასკნელს გაუსწორა მან 1917 წელს, უფრო კი—ცოტა შემდეგ, 1918 წელს.

ივლისი 11 ხუთშაბათი



1918 წ. თეთრგვარდიელების აჯანყება მურომსა, არჩაშისა, რისტოვსა და რიბინსკში. რევოლიუციის შემდეგ „სითეთრემ“ განსაზღვრული უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო. თეთრები—ეს რევოლიუციის ყველაზე უფრო საშიში მოწინააღმდეგენი იყვნენ. თითქმის ასევე აჯანყდნენ როცა მუშები და გლეხები აჯანყდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, 1917 წელში, ეს გასაგებიც იყო და უაღრესად რევოლიუციონური მოვლენა. მაგრამ, როცა თეთრგვარდიელები აწყობენ აჯანყებას მუშურ-გლეხურ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ეს უკვე კონტრრევოლიუციონური მოვლენაა.

ივლისი 12 პარასკევი



1920 წ. ხელშეკრულების დადება ლატვიასთან. ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე განსაკუთრებით—თვით ლატვიისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგ თანამდებობის პირთ ეს ასე არ ესმის. მაგალითად, ლატვიის ყოფილ ელჩს რუსეთში, ოზოლისას, მას, ალბათ, ეგონა, რომ სიტყვა „ხელშეკრულება“ საკუთარ ჩემოდნებში სხვადასხვა საეჭვო ხასიათის ნივთების შეკვრისაგან არის წარმომდგარი. ამით აიხსნება ელჩისათვის ის სამარცხვინო ქცევა (ჭურღობა), რომელშიაც ოზოლისი არა მარტო ხელდებით იქნა დაჭერილი და შეკრული, არამედ, ხელებთან ერთად, ორივე ფეხებითაც.

ივლისი 13 შაბათი



1793 წ. ცნობილმა შეთქმულმა შარლოტა კორდემ ხანჯლით გაუგვირა გული პარიზის ლარიბ-ლატაკთა წარმომადგენელს და რევოლიუციონერს, მარატს. შარატი საფრანგეთის რევოლიუციის ყველაზე უფრო ტემპერამენტური, ცეცხლისა და გზნების პატრონი რევოლიუციონერია. მის წინაშე ქედს იხრან ისეთი სახელები, როგორიცაა დანტონი და თვით რობესპიერიც. მისი მოსვენება არ იყო, საფრანგეთის ლარიბთა არა ერთი მტერი ვაისტუმრა მან იქით, საიდანაც უკან არავინ არ ბრუნდება. მას ყველგან შეთქმულება ელანდებოდა. ერთი ასეთი მოჭორილი შეთქმულების შესახებ მარატისათვის სასწრაფო ცნობათა ვადაცემის მომიზეზებით, შარლოტა კორდემ მიიღო ნებართვა მარატთან შესვლის შესახებ, როცა ეს უკანასკნელი აბაზანას ღებულობდა. და აი, აქ მოჭორილი შეთქმულთა შესაპყრობით ბრძანების ქალაღზე ხელის მოწერის დროს კორდემ შეაპარა მარატს ხანჯალი იმ გულში, რომელიც ამ წუთის სწორედ სხეების სიკვდილისათვის ჰფეთქავდა.

„ამბიური ურფიუნტ“

ამალღება

(ქუთაისის მაზრა)



პარტიის წევრები: შალვა (ტყეშელაშვილი) და მინაგო ხურციძე; კანდიდატები: დომენტი ხარაბაძე, სტეფანე მესხი და ჭიჭიკო ხვანაძე ჩვენი სოფლის „დღესასწაულზე“ (ამალღება, წილს 15 ივნისი, შიორმოცე დღე აღდგომიდან) დაითვრენ და პურ-ზაფხრი ასატენეს. ტყეშელაშვილი რევოლუციურიდან ისროდა და ხალხს ამინებდა.

შაში-ჩარი.



— შალვა, როგორ არ გრცხვენია, რომ პარტიული კაცი საეკლესიო დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობ, ითვრები და...

— უკაცცრაააა! მამში მთვრალი არ ვარ... ოც ფუთ ღვინოს კოდევ დავლევ და ასსხე ფფფფინილად ვვვვიქნები... მე ანტირელიგიურ ბრძოლას ვაწარმოებ... ხომ ხედავ — რევოლუციის ვსროლილობ ცაში, ამალღებულში ქრისტე უნდა მოვკლა; აი აგერ არის ღრუბლებში იი სუნკისინი!

ის მოქალაქენი, რომელთა შესახებ ჩვენს შურნალში თავსდება ბრალდების წერილი, ხშირად მოგვმართავენ წერილობით და ითხოვენ კორესპონდენტის სამედიატორო სახამართლოში გაწვევას.

რედაქცია აცხადებს, რომ დაზარალებულებს შეუძლიათ მიმართონ სახალხო სახამართლოს, სადაც რედაქცია პასუხს აგებს. თუ სახამართლოში ბრალდებული გამართლდება, განაჩენი გამოქვეყნდება შურნალში.

„ტარტაროში“-ს რედ.

გამგის წვეულება

ვიბაძვა კრილიონი

გამგემ ლბინი გადინადა, მოიწვია თვის ამქრები. ღამაზებიც ბევრი ჰყავდა, (იქ არ ახლდათ იმათ ქმრები).

სუფრის თავში დააჯინეს სავარძელში ღირეკტორი, და მას გვერდში ამოუხვეს იქით - აქეთ ქალი ორი.

უკეთესი მასპინძლობა არ ნახულა, არსად თქმულა. რა საჭმელი რა სასმელი რა იყო, რომ იქ არ დგმულა.

შამპანიურს ისე სვამდენ, თითქმის არის რუს წყალიო. სათითაოდ ჩამოუღვებს კალმასი და ცოცხალიო.

გადაჰკრეს და სადღეგრძელო სათითაოდ გააჩინეს. სამადლობელს სავსეს სვამდენ, წვეთი არვის შეარჩინეს.

გახალისდა ჩვენი გამგე — ბედნიერი მასპინძელი, და მოსინჯა საცეკვაოდ იატაკზე ფეხით ძელი.

თვისი ბოხის მაღალ ხმითა „სუფრულიც“ კი შემოსძახა; (სიმდერის დროს ერთ მტკაველზე დადებული ჰქონდა ხახა).

უცხად ხელი გაიქნია, რაღამც თავში გაუარა. ვადმოსახტა სუფრას თავზე და ლეკური დაუარა.

საქმმართველმა ტაში დაჰკრა: ფოკსტროტია ნამდვილიო. ჩვენს გამგისთვის ყველაფერი კარგია და ადვილიო.

თანაშემწემ წაჩურჩულა: ვერა ხედავ ნახშიაო? სასაცილოდ დაძუნძულდებს, თითქმის თავ-ბრუ დასხშიაო!

საქმმართველმა უბასუხა: ეს მეც ვიცი, ძამიაო. ისე ხტება მაღლა-დაბლა თითქმის აქ კლდე - ხრამიაო.

რას დავებებ მაგის თამაშს, ეს ფეხებზე მკიდილია, მაგრამ ქება ამნაირი ჩემის საქმის ხიდილია.

მოვუწონებ და შევაქებ, გაბრიყვდება ამითაო, და ხშირ-ხშირად დაგვბატოყებს. ჩვენ გავძდებით ჭამითაო.

— შო, მაგ აზრით, მართალია: ვერავინ სჯობს ცეკვაშიო! და სხვებსავით თანაშემწემ. დაჰკრა ვაშა და ტაშიო.

წმუქი.

„რეზოლიუცია“

კაცო, თუ სადმე რამე ნაკლი შეგაძინე, ყოლიფერი უნდა წამოვროშო. ვატლიკინებ ენას წაღმა-უკულმა და ამ ტლიკინში ვინცა თავზე ხელაღებული რაცხას მტერიწებს თავში და ქი გამათავებს კაკალ კაცს. გულახდილობაში სულ (ცხონებულ ბაბას ვგეგარ) — თუ ვინმეს რამე ნაკლს დაუნახავდა, პირში ეტყოდა: „ჩემო ძამია ეს შენ კარგათ ვერ გააკეთე, ეს ასე არ უნდა გაგეკეთებია“ — ო.

მეც ასე ვიქცევი.

ამას წინაზე, კაცო, რაღაც თხოვნის ქალაღლი მიუტანე პლატონ კვირველიას განათლების განყოფილებაში. ჯერ შეეყოყმანდა, ვერც ვარი მითხრა და ვერც კი, მერე წამოუხსნა კალამს და ჩემს განცხადებაზე წითელი მექანიკით დაეწერა: **სასურველია რომ მიეცეს.**

ვაფრინე ქალაღლი კანცელარიის გამგესთან. მან დახედა რეზოლიუციას, გაიცინა და მითხრა: — ჩვენ ვერ დაგაკმაყოფილებთ. მიმართეთ სოსიანსო.

სოსიანმა წაიკითხა რეზოლიუცია, გაიცინა და მითხრა: მეც დიდი სურვილი მაქვს, რომ თქვენი თხოვნა დაგაკმაყოფილო, მაგრამ რომ ვერ დაგაკმაყოფილებთ, ეს პლატონმაც კარგათ იცისო.

— თუ იცოდა მაშ რისთვის დააწერა ეს რეზოლიუცია და პირდაპირ არ მითხრა?

— თქვენც მოგიმადრიოოა და თითონაც არაფერი დაკარგავთ. თქვენ პირდაპირ ბერიძეს მოელოპარაკეთო. გამოვბრუნდი ბერიძის სანახავათ, მაგრამ მას „პრიომი“ ვათავებოდა და მოლაპარაკებაც მეორე დღისათვის გადაიღო.

მეორე დღეს 2 საათამდი ლოდინის შემდეგ მივალწიე ბერიძესთან და განცხადება ვაოავეცი. მან განცხადება წაიკითხა, რისთვისაც დიდი მადლობელი დავრჩი, რადგან სხიბმა არც ამაზე შეიწუხეს თავი, და ზედ რაღაცა წააწერა. გამორთმევის შემდეგ ჩემს განცხადებაზე ასეთი რეზოლიუცია აღმოჩნდა: **„აღქრას შუამდგომლობა საფინგანის წინაზე“.**

ქალაღლი ვაფრინე ბუჰხალტერიაში. იქ მუშაობა უკვე ვათავებულყო. საქმე გადაიღო მეორე დღისათვის დილა აღრიან მივაკითხე ბუჰხალტერიას. მთავარმა ბუჰხალტერმა შემდეგი დააწერა: **„ამ რეზოლიუციების დამწერებმაც კარგათ იციან, რომ თქვენი აქედან დაკმაყოფილება შეუძლებელია“** — ო.

ეს არც კი წამეკითხა, რომ ბუჰხალტერს შევეკითხე:

— ვის უნდა გადავციე.

— თქვენთვის შეინახეთო! — მომიგო მან.

სხვა რა გზა იყო. მეც ასე მოვიქციე.

უსინდისო.

„გამოცდები“

(სად. ბარდაბანი)

შალიკო: — ბიჭო ილარიონ, დევილუპე კაცი, საცაა კომისია მოვა ჩვენთან და... მარა ნუ გეშინია არ უნდა გაჩერდე მხოლოდ, თუ ენა დაგება, ისაა უბედურება.

ილარიონი: — ნიკიფორე, შენ რავე ენლავე წაგსვლია ფერი! ვერ უყურებ შალიკოს და ვასოს რავე ყოჩებივით არიან?

ნიკიფორე: — კაცო, წუხანდელი ნადეჟურნები ვარ. ეხლა კომისია და გამოცდა? ჩემი ხნის რელსი არ არის რკინის გზაზე და მე რაღა გამოცდა მესაჭიროება? წამო, ბიკენტის ვკითხოთ, თუ რას ეკითხებიან ეგზამენზე. მარი: ის ოხუნჯია და საცინლად ავვიგდებს.

ბიკენტი: — დედის სულს გფიცავართ, მართალს გეუბნებით. ვეზირიშვილისთვის უკითხავთ: — ძალლი რომ მოგივიდეს ბაგაჟათ და გამოკვირთის დროს ვაგექცეს რას იზამო? გაჩერებულა თურმე ხარივით და არ უპასუხებს. მერე რომ დააჯინდენ, ასე უთხრა თურმე:

— ბატონო, სადგ. რუსთავეში ბაგაჟის მიღება და ვაგზაჟნა არ სწარმოებს და მაგისანა მაგალითი არ მომიხდებაო.

ვასო: — დევილუპე ილარიონ, მაგის პასუხი არც მე ვიცი.

ილარიონი: გაჩერდი თუ ძმა ხარ, თუ მეძებარი ძალლი იქნა, ხომ კარგი, თუ თათრის ბომბორიკა ნავაზი იქნა, შენი მტერი... რაო? უნდა დავიჭირო? დავიჭირო კი არა, შევეხვეწები ჩქარა ვაიქეცი-მეთქი... თავი დასაგლეჯათ კი არ მინდა.

ბიკენტი: — არა ბიჭებო, უსტავში ასე სწერია; უნდა სდიოთ სიმოფორამდე და თუ ვერ დაიჭერ, პასუხისმგებელი არა ხარო.

ილარიონი: კაცო, ბიკენტი, როდის მოიშლი მაგ მასხრობას? იქნება სემოფორისკენ არ ვაიქცა? თუ ვაიქცა ამ კეროსინიპროვოდისკენ, სად გადავტანო მე იქ სემოფორი თუ ძმა ხარ?

— მე წავალ ერთს გადავკრავ და მერე ძალლის ვაქცევაზე კი არა, რაზედაც უნდათ იმაზე ვკითხონ.

კარდაბნელი.




ლევარსის გამომგონება მეზობელ მოჩხუბარ ქალების გასაჯავებლად.

შემოსავლის წყარო (ლანჩუთი)

— აღმასკომმა დაადგინა: „მემუსიკეებს ხელოვნებით დასაკმაყოფილებლად მიეკეთ დასაფლავებიდან მუსიკისკლი თანხა“.

მარტისა.



აღმასკომის თავმჯდომარე: — ვინ გარდაიცვალა თქვენს სახელდნიეროდ? ვის მიახვენებთ? — ამდენი ხანია არავინ მომკვდარა.. ისევ და ჩვენს ხელფასს მივასვენებთ!

ჩვენი შუფი

ერთ დღეს სოფ. ქსოვრისში არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა. — ვაი, ვაი, ჩვენს დღეს უბედურს! — ღრიალებდა ოთხწლელი და მასთან არსებული პიონერთა ორგანიზაცია.

— ჩემს საქმეს საშველი მაინც არ ჰქონია! — იძახდა ქობ-სამკითხველოს გამგე, რომლის ხელფასი თემის ბიუჯეტში არ არის შეტანილი და მგონი არც შევა, ვინაიდან თავს არა ვინ იწუხებს ამაზე.

— ფუი ასეთ გაჩენას! — იძახდა ჭერ და კედელ ჩამონგრეული საკლუბზე შენობა.

— დავილუპეთ, აღარ გვეღირსება წყაროს გაყვანა, ისევ ბინძური ქსანი უნდა ვსვათ! — მოსთქვამდნენ სოფელები.

მდინარე ქსანი კი დაცინვით ბუტბუტებდა:

— ახია თქვენზე რომ იძახდით: ქსანის წყალი არ დაილევაო, წყარო, გამოვიყვანთო და მას არც კი შემოვხედავთო. ეხლა.

— ხალხი ბობოქრობდა, ხალხი ღელავდა, ხალხი სტიროდა.

— რა არის ხალხო? რა ვატირებთ? რა ამბავია თქვენ თავს? — იკითხა გამეულელმა.

— რაღა ამბავია, თქვენი ჭირიმი, — უპასუხეს ერთხმად, — ერთი კაცი გვყავდა მადლიანი, რომელიც სოფლის აყვავებას გვპირდებოდა და იგიც წასულა იქითკენ, საიდანაც გელარ ბრუნდებიან.

— ვინ იყო ეს კაცი?
— ჩვენი შუფი.
— შუფი! მერე ვინ იყო ეს შუფი?
— ვინ იყო და მადლიანი მიწასაკომის თანამშრომლებიდან გამოყოფილი საშველო კომისია.
— მერე რა იცით რომ მკვდარია?

— როგორ არ ვიცით! შარშან დავგებარა: პირველ მაისს აუცილებლად მოვალთ თუ ცოცხლები დავრჩითო. აღბად დაიხოცენ და აღარ არიან, თორემ აგერ მაისი გავიდა და არ სჩანან. ისინი ტყუილს არ იტყვიან ისეთი ხალხია. ვაი ჩვენს დღეს, ვაი! — დააბოლოვა ხალხმა. პიონერთა ორგანიზაციამ კი სამგლოვიარო ჰიმნზე ააყვირა შუფის მიერ შეწირული საყვირი და ამავდროულად აბრაახუნა დოლი იმავე შუფისაგან ნაყილი.

— დაფიქრდა მგზავრი. შემდეგ ხალხს უთხრა:

— იქნებ მკვდარი არ არის. ვაგზავნეთ დელეგაცია; შეიტყვეთ: მკვდარია თუ ცოცხალი. თუ ცოცხალია, როლას გლოვობთ, და თუ მკვდარია, მაშინ შესაფერისი გლოვა გმართებთ, საპატივცემულო კაცი ყოფილა. სიტყვით ხომ დავპირდით საქმის გაკეთება!

ყველას მოეწონა ეს აზრი. აირჩიეს მაშინვე დელეგაცია და ვაგზავნენ თბილისში. ყველა იძახდა: „ღმერთმა კარგი ამბით მოგიყვანოს“.

დელეგაცია მარდი გამოდგა. მერცხლების ფრთებით ჩაფრინდა თბილისში. მიადგა მიწსაკომს. დაიარეს

ყველა ოთახები და ყველას კითხა: „დენ შუფის შესახებ. არავინ არაფერი იცოდა: „რა შუფი? რის შუფი? — უკვირდათ მიწსაკომში. ბოლოს, როგორც იყო მიაგნეს. თურმე შუფი ძალიან დაიღალა ლაპარაკით და რომ დახარჯული ენერგია აღედგინა დაიძინა ექვსი თვით.

ჩამოვიდა დელეგაცია თბილისიდან. მიეგება მთელი სოფელი. ყველას ეინტერესებოდა შუფის ამბის ვაგება.

დელეგაციამ გადასცა ხალხს საქმე როგორც იყო.

დაფიქრდნენ. ვერ გაიგეს, თუ რას მოასწავებდა ეს ექვსი თვის ძილი.

ბოლოს წამოდგა ერთი პატარა ბავში, ეტყობოდა მოწაფე იყო, და სთქვა:

— ჩვენმა მასწავლებელმა გვასწავლა, რომ შემოდგომაზე მწერები იძინებენ ექვსი თვითო. შუფი ხომ კაცია, მას მეტი ძილი ესაჭიროება.

ქსანი კვლავ ბუტბუტებდა და მის ამღვრეულ ტალღებს მიჰქონდა ყოველგვარი ნავაგი.

ქობ-სამკითხველოს გამგემ გამოკეტა სამკითხველოს კარები:

— გიჟი არ ვარ. ოთხი თვე ვემსახურე უფასოთ და აწი რაც გინდათ ის ქენით.

სამკითხველოს ვაგზეთი კოოპერატივში მიდის და ნოჭრები შიგ შექარს და მარლის სვევენ.

საკლუბე შენობამ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ღმერთს ევედრება შევლას.

შუფი კი განაგრძობს ხვრინვას.

„პროტესტი“

არა, ძველ მოსამსახურე ხალხს სულ ტყუილად აბრალებენ, ჩემის აზრით, წინ წამოწეულ მუშათა ჩაჩრდილვას, ჩაწიხვლას, ჩაჩქმალვას. აი, მაგალითად, გვიგზავნიან ჩვენ ასეთ წინ წამოწეულ მუშა-მოსამსახურეს და, მასთან ერთად, ასეთ ცნობას: „აქსთანავე მოვავალენთ თქვენს განკარგულებაში ამხ. კ. გ. უხანოვს და გთხოვთ მისცეთ მას შესაფერი სამუშაო“.

ყველას მოეხსენება, რა თქმა უნდა, რომ ამხ. უხანოვი ჩვენთან არ გამოუგზავნიათ. 1921 წელს ამხ. უხანოვი უბრალო დაზვის მუშა იყო, შემდეგ ის წამოყენებულ იქნა წითელი დირექტორის თანამდებობაზე; ხოლო ამჟამად სათავეში უდგას მოსკოვის საბჭოს. მაგრამ დავეუშვათ, რომ ამხ. უხანოვი დაზვიდან წამოყენებულ იქნა არა წითელ დირექტორად, არამედ ჩვენთან.

— ასე, ჩემო ამხანაგო — ვუბნები მე მას — მეფის დროს თქვენ დიდხანს იყავით უბრალო მუშად და დარჩებოლით იმაღლე საუკუნოდ, რეკოლიუტია რომ არ მომხდარიყო. მაგრამ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დრო ასე არ არის, ეხლა თუ ვხედავთ, რომ კაცი ნიჟს იჩენს, მას ჩვენ ვსწევთ წინ, მიუხედავად განათლებისა თუ სხვა რაიმე ცენზისა. ამასთანავე, ჩვენ განვითავისუფლდა საქმის მწარმოებლის ადგილი. უწინდელს დროში ასეთ თანამდებობებზე მსახურობდნენ ტიტულიარული სოვეტნიკები, რაცია სამხედრო რანგის კაპიტანსა ან როტმისტრს უდრიდა. რაც შეეხება განათლებას საშუალოზე ნაკლები წარმოუდგენელი იყო. ახლა კი, აი, მე თქვენ გნიშნავ! ხვალდამევე შეუდექით სამსახურს, ამხ. უხანოვო!

წარჩინებაში მოხვედრილი იწყებს სამსახურს. ხოლო, რამდინამე დღის შიმდევ, შემოიჭრება ჩემთან ადვლევებული კანცაბე და გუბნება:

— მე ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვისხნი თავიდან! თქვენი წარჩინებული უხანოვი — ეს თქვენი „საქება-რი ნიანური“ სრულიად უფიცია ამ საქმეში. მას წარმოადგენაც კი არ აქვს საქმის ქაღალდის ფორმაზე... სწერს, თითქოს სატენით ამტვრევდეს. საჭიროა, მაგალითად, მიმართვის უმადლოეს ინსტანციაში მიწერა; ის კი ოქროპირობს: „წინადადებას გადავცეთ თქვენ, ამხანაგო“... ასეთი საქმის წარმოებისაგან ხომ უსამოვნების მთელი უძიროება პრის მოსალოდნელი! უკვე არაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ქაღალდის მიმართვაზე მას წარმოადგენაც კი არ აქვს, და არც საკანცელარია სტილი ვაჩნია. ერთი სიტყვით, აბა თითონვე გასინჯეთ, რა ჯანდაბის საქმის მწარმოებელი უნდა იყვეს ასეთი კაცი! მაგრამ, აბა, რა უნდა ვქნათ?

თვითონვე კარგათ ხედავთ, რომ წარჩინებულ ამხ. უხანოვისაგან საქმის მწარმოებელი არასმინებით არ გამოდის. და გადამყავს ის მოანგარიშის თანამდებობაზე.

მაგრამ ვადის რამდენიმე დღე მეორდება თითქმის იგივე ისტორია:

— მაპატიეთ, მაგრამ მაგას წარმოადგენაც კი არა აქვს... წინადადებას აძლევ მას, რათა აწარმოოს სარესკონტრო წიგნი — აქური, მას კიეის სიტყვები სიცოცხლეში პირველად ესმის! არც ჩაწერათა ფორმებს არის გაცნობილი, დებეტსაც კრედიტში ურევს და ჯუშმითა შედგენაშიაც შეუწყობარებელ შეჯიომებს უშვებს. არა და არა, რა მოანგარიშე უნდა დადგეს ასეთი კაცისაგან. არაფერს ვამბობ უკვე იმის შესახებ, რომ ამ სამუშაოში იტის ოდენ ერთგულება-საც არ იჩენს ის!...

რას იზამთ ასეთ შემთხვევაში? უხერხულ მდგომარეობაშიც ვვარდები და არც წინ წამოწეულის უკან დაწევა მინდა. მაგრამ მეტი ვხა აღარ არის, მჩრება ერთად ერთი... მჩრება ის, რომ მოვიხში ამხ. უხანოვი და ვუთხრა:

— აი, რა, ამხ. უხანოვო! ე-ე-ე-ე-ე...

სოხუმი

ქართ. დრამის თეატრის ადმინისტრატორი და დირექტორი ვრევიან რეჟისორის მუშაობაში.

გაყაყაყია



381. თქვენ შეუძლია ცხოველად არ იქნე რძნოთ თავი, მაგრამ... როგორ გილოხრათ!... ესე იგი... ხე-ხე... აი, თუ თქვენაც საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ვაქვს ჩვენ შინა შიკარკის თანამდებობა: მოგვხსენებათ, ჩაის მიმოტანა და სხვა ასეთები...

რავა თქმა უნდა, რომ ამასაც ეუბნები მხოლოდ იმიტომ, რომ უცხაო, ერთი ხელის მოსმით გენანება წინ წამოწეული მუშა კაცის სრულიად უადგილოდ დატოვება, თორემ თითონვე მშვენიერად იცით, რომ ამხ. უხანოვი ჩაის დამტარებლადაც ისევე არ ვარჯა, როგორც საქმის მწარმოებლად ან მოანგარიშედ. კაცი შეიჩვია ფოლადის იარაღების ხმარებას და აქ კი შენ მას ხელში აჩივებ რაღაც მეტისმეტად სათუთ-მათუთ მუშის ტიქებს, ცხადია, დაფშენის... ვერც თუ სათანადო თავაზს გამოიჩინს თანამწარმოებელთა მიმართ, თავისი ჩვევების გადამიტლევ. გულის ამ სამუშაოსაც ისევე ვერ დაუტლებს ის, როგორც მოანგარიშეობას.

არა, წინ წამოწეული წარჩინებულ უხანოვისაგან არაფერი ამ შემთხვევაში არ გამოვა. და არა მარტო მისგან, სულ ერთია, ვისაც არ გამოგზავნით: იქნება ეს, მაგალითად, მიხეილ ივანისძე კალინინი, ყოფილი მუშა-ხეინკალი, ვლასი იაკობისძე ჩუბარია, ისეთივე ყოფილი მუშა, ხოლო ჩამომავლობით — გლეხი, თუ ვინმე სხვა სულ ერთია, არაფერი მშვედობიანთ არ გამოვა. თუმცა მე მათ შეეხვდები სათანადო გათილვანწყობილებით და ვეცდები გამოვჩინოთ თხა და უნარი რომელ საქმეშიაც ვინდათ: მონაგარიშეობასა, საქმის მწარმოებლობასა, ტენიკურ მდინობასა, ბუჰგალტეროასა, მანქანით მწერლობასა, რეგისტრატურასა, არქივარიუსობასა თუ სხვაში.


და ჩემის აზრით და რწმენით, მიწოდეთ მე ბიუროკრატია, „კონტროლი“, „ელემენტი“, თუ რაც ვნებავთ, მხოლოდ მე მაინც პირუთვნელად გეტყვი, რომ უშვებესი იქნება თუ აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთ თქვენ ჩვენსკენ „წინ არ წამოსწევთ“ და არ გამოგვიგზავნით. არც უხანოვები, არც კალინინები, არც ჩუბარები და პროლეტარიატის არც სხვა უნიჭიერესი წარმომადგენლები, რომელთა სახელიც ლეგიონია, ასეთი „წინ წამოსწევისათვის“ არ გამოდგებიან.

რა თქმა უნდა, წინ წამოწეულები უწინდელ დროშიც ყოფილან. მაგალითად, თავის დროზე მაქსიმ გოროკი, როგორც მე წამიკითხავს, ნაფიცი ვექილის გადამწერლადაც ყოფილ წინ წამოწეული.

აი, კაცმა მიიღო წინ წამოწევის წარჩინება! მაგრამ რა გამოვიდა? აბა, თითონ განსაჯეთ, რა ნაფიცი ვექილის გადამწერალი უნდა ყოფილიყვნეს მაქსიმ გოროკი?!

ზრამენტი (თარგ. ტყუილით შაზი-ხასი),

პარტწმენდაზე



თავ-რე: თაღლითაძე პლატონ?
თაღლითაძე: მე ვარ პარტიის წევრი 1925 წლიდან. ღარიბათ ვცხოვრობდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიკვენობას დაენებე თავი, რადგან ეკლესია დაგვიკეტეს თავხედმა კომსომოლებმა. ესლა კი, მადლობა ღმერთს კარგად ვცხოვრობ. ავად ვარ, ავად ვარ, ავად ვარ... სახლი, მოჯამაგირეც მყავს. გასულ წელს ხელზე ვაჭრობა დავიწყებე. ბედმა გამიმართლა, ფულებიც მაქვს გასესხებული გლეხებზე, საწყლებს ვეხმარები, ხელს უშობთავ. ესლა არ ვმუშაობ, რადგან ფულისაგან აღებულ პროცენტისაგანაც კარგად ვცხოვრობ. დღემდე არც მიწა მქონდა საყოფათ. მაგრამ ამას წინად ისიც ვიყიდე მეზობლიდან. რაც შეეხება პარტიულ მუშაობას, ეს ყველა ამხანაგმა იცია მართალია ერთ წელზე მეტია კრებას არ დავსწრებივარ და საწვევროც არ ვადამიხნია, მაგრამ სამაგიეროთ საწვევრო ვადასახადი დღეს ყველა ერთად ვადავიხადე.

კომ, თავ-რე: კარგი კმარა. დაჯექი... (იძახის) ურწმუნოშვილი.

ურწმუნოშვილი: აფხანკებო! მე ვარ პარტიის წევრი 1917 წლიდან მგონი.

წამოძახილი: სიცრუეა... სიჭრუბეა...

ურწმუნოშვილი. აბა რა ვიცი... აღბათ არ მახსოვს, კარგათ... მხოლოდ იგი კი ვიცი რომე პარტიული ვარ... ჰო, ახლა გამახსენდა მგონი 1917 წლიდან ვარ პარტიაში... ჰო, იმას ვჩივოდი, მე ვარ პარტიაში 1917 წლიდან. ოქტომბრის რევოლიუცია ჩემ ზურგზე იდგა მთლად... მე რომ არ ვყოფილიყავი მგონი არც კი მოხდებოდა, მაშინ ჩემთან თაღლითაძეც მუშაობდა მგონი...

წინად კარგად ვიყავი, მაგრამ ჩემი ქონება კარტში წავაგე სულ და წარმოიდგინეთ ვერც ესლა მევიშაღე ის. ოჯახი ყუღზე დევიყვანე. აი ესლა ვარ ნამდვილი პროლეტარი. ნათქვამია „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და თამაში ვერ მევიშაღე. რომ წავაგებ ფულს, საცოდავი ჩემი ცოლი კესარიე მეჩხუბება, მარა ხანდისხან ისე ამეშლება ნერვები, რომე, გულმოსულს რამდენჯერ მიმიბეგვავს საცოდავი. მარა ღმერთის წყალობით, დეილოცა მასი დიდება, ვათრევე სულს სანამდის არ ამომძვრება. ჩემს ოჯახს კარგათ თუ ავით მე ვარჩენ. ჩემს მეტი ქრისტიანი კაცი არაა ჩემი მომხრე...

ს. კომკავშირელი: იყავი თუ არა მიცემული პასუხისგებაში როდესმე?

ურწმუნოშვილი: რაიო? პასუხისგებაშიო! ერთი ქურობაზე კი დამიჭირეს, მარა ამნისტიამ და თანაც დაზარალებულმა მამატივია... ასე რომე, ავი არაფერი არაა.

ს. გლეხი. რომ ამბობ, მიწა არა მაქვს ნორმაო. მიყიდე თუ არა შენ მიწა თაღლითაძეს?

ურწმუნოშვილი: რაიო? მიწაო? იგი მე არ გამიყიდია ვაჩუქე.

თემკომის მდივანი: ბეგრჯერ მიგვიცია დაროგება მაგისათვის, მაგრამ კარტის თამაშობას მაინც განაგრძობს.

ურწმუნოშვილი: მოიცა, ამას არაფერი დაუჯერო. მას კერძო ინტერესი აქვს ჩემი... ამას წინად მაგი შემომელახა თურქე, მაგრამ რა უყოთ, არაფერი არ მახსოვს დამთვრალი ვიყავი მაშინ... ჰო, იმას ვჩივოდი რომე, რევოლიუცია ჩემ ზურგზე ტრიალებდა და...

კომ. თავ-რე: კარგი, კარგი, თავისუფალი ხარ დაჯექი... (იძახის) გულდიდაძე.

გულდიდაძე: მე რაც მართალია მართალია პარტიის წევრი ვარ 1922 წლი



დან. უნდა ვთქვა ისიც, რომ მამიჩემი მღვდელი იყო, ნათლანა კი ვახსოვს პოსი. ოჯახური მღვდელი ვარა... თია: საშუალო შეძლება, აბა რაღა ვიქნები, ჩამომართვეს ყველაფერი. ცოლიანი. მყავს 4 შვილი. 1 პიონერია, 1 „ოქტომბერშია“ ჩაწერილი, 2 დანარჩენები ძალიან პატარებია. ამას წინათ მოგნათლე ორივე. ნათლობა ძალიან ძვირი დამიჯდა. თუ არ დამიჯერებთ, ავერ კითხე აღმასკომის თავმჯდომარეს, მას მოგნათლიე ბავშვები. თერთან მან მისცა მღვდელს მონათლის ფული. კრებებზე სისტემატურად დავდივარ. პარტიის წმენდა კარგია, რაც მართალია მართალია, ეგვე გავეწმენდოთ პარტია ზოგიერთების საგან, რომლებიც არ მუშაობენ ჩვენ ზოგზე.

— რამდენი ხანია არ ვადავიხდია პარტიული ვადასახადი?


გულდიდაძე: რა მოგახსენოთ. არ ვიცი კარგად. დღეს მინდოდა ვადამეხნა, მაგრამ უკანასკნელი კაპეიკები მკითხავს მივეცი. ისე ვადავიხდი მაღე...

— რატომ მღვდელს მონათლიე ბავშვი, ან როგორ უყურებ ამ საკითხს?

გულდიდაძე: ჩვენ ხომ ებრაელები არ ვართ, რომ ბავშვი არ მოგნათლოთ? აბა ქრისტიანები რით უნდა განსხვავდებოდეს სხვებისაგან?!

(შემდეგი ახლა ხანში)
ბალი.

— **ბალი:** შეგიძლია დიდის ცხრა საათის შემდეგ მოხვიდე!
 — **ვაში:** — როგორ! თქვენი ქმარი ხომ ჩვეულებრივად თორმეტ საათზე მიდის სამსახურში?
 — ეს ერთი ხანია, რაც აპარტის წმენდაზე ლაპარაკი დაიწყეს, რვა საათზე დგება ყოველთვის და სამსახურში მიდის!



— რატომ დავიბამთ ეს სახლი ხეზე?
— ქარმა რომ არ წაიღოს.

წკაპურტები

საბუთი

ერთ გლენს ხარი მოუყვდა. წავიდა დამზღვევ სალაროში და დახმარება ითხოვა.

— დახმარებას მიიღებ, ამხანაგო, მაგრამ ამისათვის საჭიროა თემალმასკომის მოწმობა, იმის შესახებ, რომ შენ ხარი მართლა მოგიკვდა! — უბასუხეს დამზღვევ სალაროში.

— იმე, ყმაწვილო, რაღა გეკადრება. მართლა მომიკვდა, აბა ტყულა სიკვდილი ქე სად ვაგონილა?!

— საჭიროა თემალმასკომის მოწმობა, მოქალაქე. წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარებას ვერ მიიღებთ.

გლენი მიდის თემალმასკომში, უხსნის თავმჯდომარეს თავის გაჭირვებას.

— კი, მარა რით მოკვდა, აფხანაკო? — ეკითხება თავ-რე.

— რით მოკვდა და სიკვდილით.

— მარტო სიკვდილი არ კმარა, აფხანაკო, საჭიროა საბუთი.

— შე მამაცხონებულიშვილო, სიკვდილზე მეტი საბუთი კიღო გინდა სხვა რამე?

„პოეტური დიალოგი“

ერთი პოეტი ეუბნება მეორეს:

— შენ არც არას სთესავ და არც

მკი. მე კიდევაც ვთესავ და კიდევაც ვმკი.

— ეგ მართალია, — უბასუხებს მეორე, — მაგრამ ნუ დივიწყებ, რომ შენს დათესილს არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. მკით კი ჰონორარს სახელგამში ვეარიანალ მკი.

„წიკაჟისის თავმჯდომარე“

— ბევრია თქვენში წერა-კითხვის უცოდინარი? — შეეკითხა ინსტრუქტორი წერკუმისის თავმჯდომარეს.

— ძალიან ცოტაა, — მიუგო თავ-რემ, — სულ თითებზე ჩამოითვლება.

— ნუ თუ მართლა, აი მაღაღეც წერკუმსო.

— მე მეტი თვლა არ ვიცი, თვარა..

— აგაშენა უღმერთოთა კავშირის წევრობამ, კაი თავმჯდომარე ყოფილხარ, კაი მოგეცა!

გაგატილებული იხვი

— ბიჭო, ამ ჩვენ დამზღვევ სალაროს გაბგეს, ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს მუცლის ტკივილი დასწემდა. — ეუბნება ერთი მოქალაქე მეორეს.

— მეც არ გამიკვირდა, კაცო, რამდენჯერ შევედი მის კაბინეტში, მუღამ უღდას არაყი; დახე, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული.

„ზოგი ჰირი მარგაბულია“

— ანგელიანა პავლოვნა. — მიუბრუნდა ქმარი ცოლს: — გითხრა სიმართლე: მუშგლებინმა ფეხზე დამაყენა.

— რას სულელობ, ადამიანო?

— კი არ ვსულელობ, მართალს ვამბობ.

— ფეხზე დაგაყენა, თუ პირიქით?!

— რატომ პირიქით და რატომ პირაქით არა? სანამ სამსახურში ვიყავ, ავტოთი ვსეირნობდი მუღამ და როცა „შემკვეცეს“, ავტოც ჩამომართვეს და ახლა ფეხზე ვდგავარ.

გაწმენდილის აღსარება

პარტიის წევრად გახდომა ადვილად იტყვის ენაო: შევკრიბე ძველი ბიჭები, ლხინი უმართე მენაო.

პარტ-ბილეთს ხელი შევაკლე, არავინ მომცა წყენაო. ძველი ცოდვები რომ შეპარია, ალბად მეწვევა ზენაო.

კარგ სამსახურში მოწყობილს, პორტფელიც მქონდა თანაო. ავტოში გვერდს მიმშვენებდნენ ტერეზია და ახაო.

მეგონა: მოხერხებულნი ვინა ჩემისთანაო.

თურმე „ტარტაროზ“-ს ჩანგალს უყვებოდი დააქვს თანაო.

გამქაჩა, ზედ წამომავო, წმენდაზე მიმიყვანაო:

— აბა, მოყევი წარსული, ტყუილი არ სოქვა თანაო,

თორემ დაბნელდა დღეს შენთვის, იცოდე, ეს ქვეყანაო.

კრიჭა შემიკრეს კიდეებმა, მთლად დამიღუნდა ენაო.

შემდეგ დავთარი გაშალეა მიოხრეს: შენა ხარ განაო?

რისთვის წაართვი ძველ დროში დღუკა საწყლამეს ყანაო?

ნიკო და პეტრე ციმბირში შენგნით არ გეიგზავნაო?

მასთან კოლია გმირამეს შენ არ დაარტყი დანაო?

გადასახლებულ მეღმერთს რაზედ დაუწვი ბინაო?

ან სტრაუს რად მოაკვლევანთ ნემსიწვერადე მინაო?

ბილეთი ხელად წაართვეა და სამსახურიც თანაო.

ბოლოს წყუელმა გეგეუმ გამ-სახლშიც გამაქანაო.

ის ჩემი ძმებიც იქ დამხვევენ, ძველი ცოდვებით თანაო!

მსუბუქმა კავალერია, კინწის კვრით მოთუვენაო...

ახლა ის მაინტერესებს და ჯავრადა მაქვს თანაო, — ნეტავი ყველგან გასწმინდეს ბიჭები ჩემისთანაო?



ვინ გამოიცნობს (სადგურ ბათუმისათვის)

1919-1920 წელი

მენშევიკურ დაზვერვაში დადიოდა ჩუმალი;
კომუნართა ფარულ კრებებს ამხელდა ერთგულად.
რომ ღვაწლი არ დაუფასეს — არ ასწიეს ზევით,
გულზე წუშტი დაიხალა, ხმელი თავის ქნევით.

1921-22 წ.

წითელ დროშამ, ბრძოლის დროშამ „აუტოკა“ გული;
არ იყოვნა, გამოერკვა, შეიცვალა სჯული;
ალაქუცდა, ვით ფინია კული დაიგრძელა,
წითელ, კავშირს მიეტმასნა ფილიდი გაიმეფრა.

1922-26 წ.

ერთგულდება დაიქემა ტრანსპორტელთ კავშირში;
საბჭოების „მოტრფიალეს“ არვის ჰქონდა შიში;
მეფე-გამგეთ მოეგონა საქონლის ანგარანს
ვალიტებს აგროვებდა და მღეროდა ნანას.
თანამშრომლები დასახა ყმებით და მონებით.

„ტარტაროზი“-ს და „ფუხარა“-ს მკითხველთ ეხსო-
მებათ,

რომ მუშები მოითხოვდნენ გაძევებას „ზავის“.
სანაგვეში გადაგდებდას გაუხეხავ ყვავის.
ადგილკომმა და კავშირმა, ვებუემ ფხიზელმა,
საქმის გარკვევას შეუდგენ, — და ძლიერმა ხელმა,
ხვრელს მიანგო ბნელი საქმის, ამოჰკრა პანდური,
გაუმრთელდათ თანამშრომლებს, გული დადაღული.

1926 წ. — დღემდე

„ნაზავარსა“ „რეესობა“ იღარ მოეწონა,
მიზნისათვის რომ მიეღწია, მანც არ დააყოვნა,
შექმნა ჯგუფი ბიჭ-ბუჭების — მექრთამე-ობრების,
მთელი სადგური გახვია ქსელში ინტრიგების.
ტარტაროზჯან, შეჯიბრის დროს ამათ არ გვეცალიან,
წვეტიანი ნაცად მუშებით გვესტუმრე, ძამია.
დაყოვნება არ იქნება, საქმეს აენებს მეტად.
ბიჭ-ბუჭების ვინაობას აქ გააცნობ ერთად.
„ზანბი“

„ჩ. ი. ხ. ლ. ა. ძ. ე. თ. ი.“ (გორდის თემი, ქუთ. მაზ.)

— გამარჯობა, როსტომ, რაშია საქმე? ყველაფერი
მიამბე.

— ვი, ბატონო, ვიამბობ, ყველაფერს, მხოლოდ არ
გამამბილო.

— გეკარდება როსტომ! ბოვში ხომ არა ვარ!

— ბოვში კი არა, მირა ვილაცამ მითხრა: ის ყველა-
ფერს გაზეთში სწერსო, და, — ვერ გეტყვი.

— მეტი ნდობა თუ არა გაქვს, კარგი, მასე იყოს!

— რაკი აგრეა, მიგდე ყური და გეტყვი ყველაფერს.
მე შეილო 57 წლის კაცი ვარ და ტყუილს არ ვიტყვი. ამ
ჩვენს გორდში არის ერთი არა სასიამოვნო ამბავი: ყვე-
ლა დაწესებულებებში ჩიხლაძეებია. აფთიაქის გამგე —
ჩიხლაძე, ქობ — სამკითხველოს გამგე — ჩიხლაძე, ფოსტის
გამგე — ვ. ჩიხლაძე, სას. — სამ. საკ. ამხ. — ბის თავ-რე — ს.
ჩიხლაძე, აქვე ამხანაგობაში ბუღალტერი — ან. ჩიხლაძე.
აქვე ამხ-ბაში საწყობის გამგე — ბიჭ. ჩიხლაძე, უჯრედის
მდივანი — ბ. ჩიხლაძე და მისი ტენიკური მდივანი კი-
დევ — ს. ჩიხლაძე...

— აქ ყველა ჩიხლაძეები ყოფილა! ეს მითხარი, აღ-
მასკომის თავ-რე და მდივანიც ჩიხლაძეები ხომ არიან?

— ბატონო, მოგტყვიან, რომ გორდში ყველაფერი
შეიცვალა: თავ-რეთ ევირჩიეთ ჩიხლაძე და მდივანი კი
სხვა გვარის, მაგრამ გუშინ მიგვიწვიეს საბჭოს წევრები
და გვითხრეს: ვინაიდან აღმასკომის მდივანი არ არის გა-
მოცილილი სხვა ევირჩიოთო. საბჭოს წევრებმა ჰკითხეს:
ტომელი გყავთ თქვენ მხედველობაში მდივანთა? ჩვენ

ფიზკულტურელის სიყვარული



ქალი — ვაი თუ ამ ყრუ ადგილას ნულიგნები და
გვესხენ თავს!

— სრულიადაც არ მეშინია! ისეთი გაქცევა ვიცი,
რომ... დაღვენებასაც ვერ გაზედავენ!

გვეყავსო წინით, რომ აქ მდინად იყო ვ. ჩიხლაძეო: და
მართლაც გეიყვანეს მდინად ისეთი კაცი, რომელიც წი-
კოლოზის დროს გარადაოი იყო და მუშებსა და გლეხებს
აფრთხობდა.

— ყველაფერი კარგი, როსტომ, ეს კარგი ამბავი
გევიგე. ეხლა პარტწმენდა მიდის და საამისო ხომ არაფე-
რი იცი?

— რადგან გაგიტყდი, ყველაფერს გეტყვი პარტიულე-
ბის შესახებაც. ერთი პარტიული კაცი დადის სოფ. ღვე-
დიდან ლუკა გოდერიძე, რომელმაც მიწა გაყიდა და სასა-
მართლომაც დაუმტკიცა. ამისათვის არაფის ყურადღება
არ მიუქცევია. მეორე პარტ-წმენდა ბიჭტორ გახოკიძემ
მღვდლით და ეკლესიის დროშებით გაასვენა მიცვალებუ-
ლი და მღვდლით მონათლა შვილები.

— კიდეც გამაგებინე რაც იცი.

— ყველაფერი ყველაფერია და კომუნისტი კაცი
მევანშობას ეწეოდეს, სირცხვილი კია. მე რომ ზევით
მოგახსენე: ბ. ჩიხლაძეზე, საწყობის გამგეაქო, მან ფული
გაისესხა პროცენტებში 10 მანეთი თვეში 1 მანეთად.

— კიდეც თუ რამეს დასძენ.

— მოგახსენებ, ბატონო, ერთ ბატარა ამბავს, მხო-
ლოდ დაწვრილებით არ ვიცი. აქ სამ. სკოლაში მასწავლე-
ბელი კომკავშირელია და მან ქავეთარას შეილი მოუწათლა
მღვდლით, მეტი არაფერი არ ვიცი, რაც ვითხარი, თუ
კაცი ხარ, ნურსად გაამხელო.

— ტარტაროზს გარდა, არსად, ჩემო როსტომ, — ჩა-
ვილაპარაკე და, აჰ, გიგზავნი, ტარტაროზო, ამ ამბავს.
მამულ-გურიელო.



ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

მკვირვებელი
გეგმვის

პარტ-ფინანდის შემდეგ
პრ. მითაგვარია. ფოთი

მძინარა მილიცია

მ. ლაშხია. ლანჩხუთი.



— მძიმელი: — ტაკო ვეშ კამუ ესტ
პრადუ ეშიო ბაკუბაიმ... პორტფელი მა-
კუბაიუ!



— მურღაბი: — წუნარად, შე ოჯახქორო, თორემ გაეღვიძებათ
მილიციელებს და დავილუპებით!
— რისი გეშინია? ასეთი ხმაური კი არა, ზარბაზნის სროლაც ვერ
გამოაღვიძებს მაგათ!

ჩვენი სამკითხველო

დ. ზახტაძე. სამტრედია.

მეგობრული უარში

ვ. ფხვიძე ს. გომი.


ჭკუა დახედული

დ. მიქაძე. სამტრედია.



ბავშვი: — ნებაც მოვესწრებრდე იმ
დღეს, რომ ჩვენი სამკითხველო თავის დრო-
ზე იღებოდეს!
მღსუსტი: — შენ რა გოზავს, შვილო, მე
ვიკითხვ თორემ.

ს. გომში (გორის მაზრა) საკრედი-
ტო ამხანაგობის თაოსნობით დაარს-
და მეჭაბუნეთა კოლექტივი „ჯიშინი
ქათამი“.



ი. პალდასტანიშვილი: — ჩქარი ნა-
ბიჯით კოლმებრატისკენ — იარაღი!



— ასე აპირებ კლუბში წამოხვლას?
— დიას! თუ გაწვიმდა, ქოლგით თავს
დავიფარავ დარბაზში წვიმისაგან. ცხვირ-
სახოცით კი ცხვირს — ცუდი სუნისაგან.

ვაი ჩემო დღეო

ნათქვამია: „თუ ღმერთი გწყა-
ლობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო“.
კი არა, წმინდა გიორგი, ღვთის-კო-
ნსტანტინე და მთელი წმინდათა-
წმინდა გუნდი შეხსენ რო იყოს,
თუ „ტარტაროში“ გადაგეკიდა, შე-
ნი შტერია: არ გაგახარებს. არა! ეს
ტარტაროები რომაა, უნდა ვითხოვა,
ქვეყნელში არაფერი გამოვებარე-
ბათ. აჰა, რაცა, კაცო, წინათ ვაჭა-
ბი ვიყავი, ახლაც ვაჭარი ვარ, მარა,

ვითომ თავი გავანებე ვაჭრობას, ავ-
სწიე ჩემი სავაჭრო პატენთი და ჩა-
ვებარე ინსპექტორს; დუქანი —
ვანო წითაძესა და გრამიტონ
ბარაბაძეს გადავეცე, მე ვითომ მათი
პრიკაშიკი ვართქო და ასე ამგვარათ
საიუნჩიკი გავხეი, თავიც ხელათ
ღვევზღვიე, საქმე ასე მოვაკვარახქი-
ნე, მარა, ვაი ამისთანა მოკვარახქი-
ნებას! ვილაც ტარკორს გაუგია
ყოველივე ეს და ქე არ გამოუტყი-
ბივარ „ტარტაროში“ — „ილია წა-

ქაძემ ვითომ თავი დაანება ვაჭრობა-
სო, დუქანი სხვას გადასცა, ეს მხო-
ლოთ ფორმალურათ, თორემ თვით
ილია არის ხაზენი, წითაძე და ბარ-
აბაძე ამხანაგათ ყავსო. — ამრიგად
ილიამ მათ პრიკაშიკათ თავი ჩაი-
წერა და კავშირის წვერიც გახთა.
ვაჭარმა ასეთი ხრიკები ვერ უნდა
გაატაროსო“. ვაი, ჩემო დღეო, რას
ხედავს ამას ჩემი თვალები! რაეა
ღვევზღვიე კაკალი კაცი!..

ქედმაღლიშვილი



ჯოჯოხეთის კუთხე

ქართული
ბიბლიოთეკა

პასუხია: „სამ-ოთხ დღეში“: არ უზავებენ სამოთხეში

მარ თალია ამ ამბავს „შარიანი“ გვატყობინებს, მაგრამ შარი არ არის — სინამდვილეა ბაჯალი.

შვილს დაზღვეული ჰყავდა მამა გლახუნი, რომელიც უღარდელად მოკვდა:

— კიდევ კარგი, რომ დაზღვეული ვყავარ შვილს...

ეს დალოცვილი მთავრობა მიყიდის კუბოს, თორემ დაუმარხავი დავრჩებოდი. შვილი ყურადღებასაც არ მამაქცევდა: — ასე ფიქრობდა გლახუნი, მაგრამ არ გამართლდა საცხებით მისი შიში.

გარდაიცვალა გლახუნი. (ეს ოზურგეთში მოხდა).

მიმართეს ოზურგეთის დამზღვევ სალაროს სამარხის ფულისათვის.

— ნენაიდან მისი შვილი ტფილისში მსახურობს და იქ არის დაზღვეული, ფულიც იქ უნდა მიიღოს. — იყო პასუხი.

— ექნათ! გლახუნი დასაფლავეს.

შვილი დაბრუნდა ტფილისში და მიმართა დამზღვევ სალაროს.

— ღინაიდან მიცვალებული ცხოვრობდა და გარდაიცვალა ოზურგეთში, ამიტომ ფულიც ოზურგეთმა უნდა მოგცეს! — იყო პასუხი.

აი, აქედან იწყება სიარული ოზურგეთსა და ტფილისს შუა.

გლახუნ შარშან აგვისტოში გარდაიცვალა. მალე იქნება წლის თავი.

საწყლავი მოხუცი თურმე სამოთხის კარებთან სდგას, მაგრამ შიგ არ უშვებენ. ვიხას სთხოვენ ოზურგეთის ან ტფ. დამზ. სალაროდან.

წლას თავზე მაინც მიეციტ ვიხა მიცვალებულს!

ტარიელი სწორია მოკლად ოკრი ღორია

სრული ჭიშმარიტებაა ის გარემოება, რომ მთვრალ კაცს საგნები სხვანაირი ეჩვენება.

აი, მისი ცოცხალი მაგალითი, რომელსაც შემოქმედის (გურია) გვატყობინებს — „აბი“.

გალოგრე თოფით ხელში გამოვარდა. თავში ჰქონდა ხუთი ტყვია, თავში — არყის ოსვივარი, მუცელში — ხუთი ბოთლი ღვინო, ხოლო ვიხეში — პარტიულითი. გამოვარდა და დაინახა იორაშვილის ღორები.

— თუ წინედ აზნაურები იჭერდენ და ჰკლავდენ გლახუნს, საქონელს, ეხლა ჩვენი რიგია!

სოქვა, მან და „დასცხო“. სოფელი ფეხზე დადგა. კიდევ კარგი, რომ მთვრალი იყო და სწორად ვერ ისროდა, თორემ ხალხსაც დახოცავდა.

ბრძოლის ველზე ორი ღორი აღმოჩნდა მოკლული.

— დაღახვროს ღმერთმა და შემოქმედის მონასტრის ძალმა, ეს ღორები ღომებად მომეჩვენენ! — თავი „იმართლა“ „ტარიელ“ გალოგრემ, როცა გამოფხიზლდა.

უფრო მტე გამოფხიზლებაა საჭირო გალოგრესათვის, რომელსაც თავისებურად ესმის „კლასიურ მტერთან ბრძოლა“.

— „ატვიჯაიტ“ ანაგაო! — ქარუშს უნდა ანაგავო

— არა მოდიან: ჯანაბას მათი თავი! — გაიფიქრა ქარუმ სიმონიშვილმა და ადგილობრივ კომუჯრედში განცხადება შეიტანა პარტიაში მიღების შესახებ.

მიიღეს კანდიდატად.

— აწ არა მიშავს; კულაკიაო, ჩემზე თქმას ვერ ვაპედავენ. რომელი ადგილია ჩემთვის ხელსაყრელი? ჰო, საკრედიტო ამხანაგობა. ნათესავეებსაც დავეხმარები და თავისთავსაც! — გაიფიქრა ქარუმმა, გაძვრა-გამოძვრა,

ინლაფორთა და, მართლაც ანაგის გლახობას ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ მოევილინა.

ერთი დღით რომ საქმე ჰქონდეს, —

მთელი კვირით ქალაქს რჩება.

მივლინების ფულს იჯობავს,

და ქეიფსაც გამორჩება

(„მსუბუქი კავალერია“).

მოქეიფე, ბიჭია ქარუმი და ქალაქში ყველა მიკიტანო ცინობს.

— „ატვიჯაიტ“ ანაგა! — იძახის სუფრაზე და თხოვლობს მოხრაკულებს.

მაგრამ ქარუმ თავი ისახელა იმ საქციელით, რომელიც მას შეემთხვა გლახთა ცენტრალურ სახლში. ვადმოვდა შეორე სართულზე, თავი საპირფარეოში ეგონა და... და სამილიციო კომისარიატში წაიყვანეს. (იხ. ოქმი, სადაც დაწვრილებით სწვრია ქარუმის საქმენი საგმირონი).

ვანო კვანტალიანი — კაცი არის „ჭკვიანი“.

ბიბლიური დრო რომ იყოს, ალბად, ვანო კვანტალიანი წინასწარმეტყველი იქნებოდა. მან იცის — რა მოხდება მომავალში და ამისდამინდვით მოქმედობს.

წინასწარმეტყველობის რა მოგახსენოთ, ხოლო ვანოს რომ ძალზე განვითარებული აქვს ინსტიქტი, ეს აშკარაა.

— ვიცოდი, რომ პარტყმენდა მოხდებოდა, — პარტიის ყოველ წევრს ფილტრაციას უზამდენ... ისიც ვიცოდი, რომ ჩემისანებს მიაბრძანებდენ პარტის რიგებიდან, — და ანტომაც მოვიქეცი ასე, ჩემო კარგო! — უთხრა ვანომ ერთ ღრუბლიან-საღამოს თავისს ცოლს, რომელსაც ვაგეო — პარტყმენდა იწყებო, და ყურები ჩამოყრილი ჰქონდა.

— რა ექნათ, ვანო, თუ პარტიიდან გაგაგდეს? — ნერვიულობდა ცოლი.

— რა გადარდებს არ ვიცი! პარტიაში ყოფნის დროს ისე მოვაწყე აქაც და სოფელშიაც ოჯახი, რომ „კეთილი ცხოვრება“ არ მოგვაკლდება! — ანუგემა ვანომ დაღონებული ცოლი და მიუმღერა:

ჩემო კარგო მითხარი,

რაზე მოგიწყენია?

პარტიიდან გამრიცხეს,

ქონება ხომ ჩვენია!

(„ისარი“).

— ჰკვიანი კაცი ვარ, მედაჩემმა ღმერთმა! — ხშირად გაიფიქრებს ვანო და გადახედავს თავის ბიოგრაფიას:

სამიქაოს თემში აღმასკომის თავმჯდომარეობის დროს ოთხი წლის განმავლობაში ბევრი „საქმე საგმირონი“ გააკეთა: გაქაფვა საექიმო პუნქტისა და აღმასკომის ბიუჯეტისა. „სხვადასხვა შემოსავალმა“ ოჯახი მთაწყობინა კულაკურ ყაიდაზე... გლახების აღფოთებამ გამოაძქუნძულა სამიქაოდან და, თავი შეაფარა ტფილისში სარეწკოპის კომუჯრედში... ეს იყო უკანასკნელი რეისი... აქედან საკონტროლო კომისიაში და მუშგლახინში აქ რაც მოუვიდოდა ვანოს, ყველა მიხვდება.

— ქე იყო დრო... ან მაინცდამაინც არ მესაჭიროებოდა პარტია! — გაიფიქრა ვანომ, როცა მას პარტიიდან გამორიცხვის შესახებ გამოუცხადეს.

— ქე იყო დრო... აწ მაინცდამაინც არ მესაჭიროებდა ამბობენ: ამით საქმე არ დასრულდება.

ანასუნი მის საქმეს

ვინცამ ქალის თხოვა მე მიჩრია და მაქანკლათ მომივიდა, იმისი არაფერი გეიშვა; იმას გოთუწყდა ერთი წყება ცხელ-შეილი და თვითონაც მალე მიყოლებია თან; ჩემმა ცოდვამ ტანჯოს მის სიცოცხლეში.

რა ვიცოდი როგორი ბოლო ექნებოდა ჩვენ ცხოვრებას, თვარა ნიკოლოზზე ხენწიფეს რომ ებრძინებია ჩემთვის ქალის თხოვა, მაინც არ ვითხოვდი.

მეც ვავბრძვი უბედური და ვითხოვე ქალი, მარა ქალი კი არა, თურმე ქაჯია კრასკაში და მასკაში მორთული.

პირველ ხანებში ქე ვიცხოვრეთ გუგულებივით და ერთმანეთის სიამოვნების და ალერსის მეტი არაფერი უტყაყოფილება გვქონია.

სიყვარული პირველად ძალიან მქონდა. რავარც საშახურს ვავათავებდი, დამდურული ძალივით ვავრბოდი სახლში.

რალა ბევრი ვავაგრძელო სოფლიდან ქალაქში ვადა-შიყვანეს. პირველათ რომ გამომიცხადეს ვადაყვანა, ვანარე ცალს. ვადამეხვია კისერზე. ვედევედით ქალაქში და დევიწყით ახალი ცხოვრება.

ახალ ცხოვრებას მოყვა ახალი მოთხოვნილებები. აქ მამაძალოს შვილს ვათხოვებამდი საცვლები არ ეცვა და ფეხშიშველა დატენტეობდა სოფლის გოგულებში; დედამისი ჭადს ერთ ბოვშს რომ მოუტეხავდა, მეორე ბავში ხელში სტაცებდა და სტიროდა—იმას დიდი მოუტეხე და მე პატარაო. შიმშილით კუჭი ქონდა გამხმარი. ახლა

რომ დეინახა ეფროსინე ქირიანმა ქალაქში ვინცამ ქალის თხოვა მე მიჩრია და მაქანკლათ მომივიდა, იმისი არაფერი გეიშვა; იმას გოთუწყდა ერთი წყება ცხელ-შეილი და თვითონაც მალე მიყოლებია თან; ჩემმა ცოდვამ ტანჯოს მის სიცოცხლეში.

დეიწყო სიცხეები და შეუძერა ბუზარა ეფროსინეს, მოუშვა გრამაფონივით და იძახის: ავარეკვე წვედივით, დეიცალა მთელი ქალაქი და სირცხვილია ჩვენც რომ არ წვედივით. მე ვეუბნები—დაჩა ჭლექიანებისთავის არის, ჭლექი შევიდა მამი-შენის ოჯახში-თქვა, თუ მაინც და მაინც არ მოიშლი წასვლას, წადი შენს სოფელში და თუ არ დაბრუნდები ძალიანს კარგს იხამოქვა, ამიზა ვედევორია და ეიშილა: შენ თუ ჩემთან ცხოვრება არ გინდა, არც არც მე მინდა შენთან ცხოვრება; დედიშენის შვილი ხარ და სარჩოს მომაკლებო! —და გამომიცხადა ვაფიცვა, შეგონა მოუბრუნდება გული და თლათ უჩემოთ ვერ ვაძლებს-თქვა, მარა არც სადილს მიკეთებს და არც ვახშამს: ვანახოთ სანამდე ვავრძელებდა მისი ვაფიცვა.

მალაროელი ტანკა.

კბილდამძვრალნი

ზიათურა



შუშა: — ვვადირსეთ, ბატონო, კბილის ვაკეთება! დავბერდი ვაცი აქ სიარულში... დაუდეკავმა საქმელმა კუჭის ტკივილი გამიჩინა!

— საშა და ქეთო: — ინდაურიც კი ჰყლაპავს დაუდეკავად, მარა კუჭი არ სტკივა!..

რამე-რუმე

კავალევა (გურიია)

აქ გლექკომის სასადილო ვანთქმულია კიდი-კიდე; საწყალ გლექებს დაცილილი აქვთ ჯიბე მისი ვადაკიდე. ვამგეობის თავმჯდომარე — დათიკოა, კაცი ძველი. გლექური აქვს მას მიდგომა, ტყისაც არის „კარგი მცველი“ წარმოების „გაჩაღებით“ მან, სულ ყველა ვააოცა, და გლექკომის მცირე სახლი, ბესარიონს მიულოცა.

* *

სამებაში წყალსადენი სურდათ „ზოგს“ რომ ვავთხარა. ვავრამ ტენიქს ჩვენს შერმადის წყალი გზაში ვავპარა.

* *

არტისტების თავმჯდომარე სანდრობ და ვენედიქტე, ნუნუს თუ უქნეს ყლაპი, — ვავხსნებათ იმის კლიტე. რადიოც ხომ დაგვიყრუვდა, არცა სტვენს და არც ხრიწინებს. (შეჯიბრში თუ სხვამ ვვაჯობა, მტერი მაშინ ვაიციანებს). სერგო, ჩვენს რედაქტორი, სიტყვას იტყვის ერთობ „მჭუ-ხარს“.

შევერო კი კალმის წვერით, ქვასა ხეთქს და აპობს მუხას.

აფრიკელი ცეცხ.



პირველი ჯილდო 15 მანეთი

- ვაცო, მაგ ფულუროში რომ შემძვრალხარ, ცოტა სივიწროვეს არა ვრძნობ?
- მართალია, სივიწროვეა, მაგრამ მაინც საკუთა-

რი ვაზინების ილიუზიას ქმნის... ილიუზიაც ვარგია, რომც ნამდვილ კაზინეტზე საბოლოოდ ამაღებინეს ხელი. დომენტი კიკნაველი.

ტრანსპორტის მუშა, ტფილისი.

მეორე ჯილდო 10 მანეთი საშიში თავშესაფარი

- ასეთ სიცხეში კარგი ადგილი მოგინახავთ თავშესაფარად!
- დიახ... ისე, როგორც ვაცი წმენდის დროს პროტექციას ეფარება!
- კი, მაგრამ, სიცხეს ქუხილი მოჰყვება და, ვაი თუ მგზი დაეცეს თქვენ თავშესაფარსა და მასთან ერთად, თქვენც ვიმსხვერპლოს!

ალექსანდრე ჭინჭარაძე.

ქ. ზესტაფონი. უმუშევარი, მუშა, დარაჯი.

მე-3, მე-4-ე და მე-5-ე ჯილდო — წლის ბლომდე ჩვენი უსრნალ - გაზეთი

- რას კითხულობ მაგრე გაცხარებული?
- დიდ რევოლუციონერების ბიოგრაფიას. ეგებ წმენდის დროს ავტობიოგრაფიის თქმაში გამომადგეს. ნიკოლოზ ბ. შარვაძე.
- ტ. ს. უნ-ის სტუდენტი, კრილოვის ქ. № 1.

- რისთვის ხის ბულუროში შესულხარ?
- აგარაკზე ბინები ძვირია... აქ კი უფასო ბინა მაქვს!

ვასილ ფ. ჯაკობია.

სამტრედია. რკ. გზ. სახლი № 10 მოწაფე.

- რას აკეთებ, ვაცო, მანდ ხის ფულუროში?
- მოხსენებას ვამზადებ... სახლში ცოლი მეჩხუბება... აქ კი მუშაობა და ხელს არავინ მიშლის.

ლევნილ ნორაძე.

სადგ. ძირულა. სოფ. აჭარა (შორაპნის მახრად)

ბრემიები გაიგზავნება: აღნიშნულ მისამართებში

მამის წერილი

შვილო ივანიკა!

ჩემ ამბავს თუ იკითხავ, მე ქე ვარ გვარიანად. მარა მენი უნახაობა, ძალიან მაწუხებს.

შვილო, რაღაი მაქანე სასწავლებელში წაი, საქმეებით მოსვენება არა მაქ. ფიქრებით ხომ გული მიფართხალობს, მარა რაღაი შენ სასწავლებელში გხედავ, თავიან ფეხიანათ, რომ ვალში გევიშვლინო, მაინც გამოვგზავნი გვარიანათ და ჩემ წვალებასაც არათ ჩავთვლი. თუმანი ქე გამოვგზავნიე მაქანე და აპა შენ იცი რაფა მოუვლი. ცოტა-ცოტა ხარჯე, თორემ ფცფათ გაგითავადება.

აქანე გავიგე, რომ შენ პაპიროზის წევაც დაფიქრია, მარა არამც და არამც აწი პირში აღარ ჩაიკარო, თორემ სირცხვილია შვილო. ძობების შესახდათ იქონიე ცოტა და ისთე ნუ მოსწევ. ახალგაზრობისას მეც კი ვწევდი, მარა ხანდისხან.

შვილო, ერთს გთხოვ მამა-შვილურად და დამიჯერე, ქვეყანი ბიჭი ხარ და ქკუა მოიხმარე, მამას სახელს ნუ გაუტეხ. შენ რომ აქ იყავი ჩამოსული, მაშინ რაცბა ლაზლანდარობა დაფიქრია ძობებში და ასეც გავიგე: ერთ გოგოს უჩქნიტაო. შვილო, გოგო უქკუა და ხეპრეა, მარა შენ რომ დავგარეგებული კაცი ხარ, არ უნდა ეიყოლიო ძობაში. ჩვენნი ნიკოია ხომ სულ დაღუბა ძობაში და ის არის. იქნებ იმაზე შენც ვაიე რამე, მარა მე შენ მაინც ვეტყვი, რომ უფრო დაუკვირდე ცხოვრებას და არ შეცდე რამენი.

თორემ ჩვენ ნიკოიას ზე გიორგობა დღეს, სარდიონის ცატა პარდუქით წაუყვანია და შუა-ღამემდე აღარ დაბ...

რუნებულან. სოფიომ რომ ეს ამბავი გაიგო, კინადამ თავი დაიკლა ნაჯახით, მარა ჩვენ შეგვიჩერეთ. ქე აპკიდეს კურტანივით ეს მახინვი ქალი ორქოსავით ბიჭ ნიკოიას, ისეა შვილო, გირჩევე—ხელს არ გადაყვე თვარა დევილუბებით, ყველამ იცას, რომ შენ მაქანე უნივერსიტეტიში ხარ და ბოლოს სანაქებო კაცი უნდა გამოხვიდე. იმ გოგოზე არაფერი იფიქრო, დღეიდან სად შენ და სად ის. არა შვილო, ქკუთ იყავი და დენტიე მაქანე — შენს ტყავში. ქალსაც შეესწრები და ყელასაც, მარა ჯერ პაწია მოიცადე.


ყოშინ მატრონიის მამასთან ვიყავი დაპატივებული და იქანე, რომ ვნახე ქალი, ისეთი მის დღემში არ მინახავა, სიმღერა, ცეკვა, გიტარის დაკვრა, სულ ერთმანეთში ოურია. ბოლოს მატრონია გვერძე გევიყვანე და ვკითხე იმ ქალის შესახებ. თუ რძალი ვინდა ამგერს შენ ვერ იშოვი შვილისათვისო. ზერე შხითეგზედაც ჩამოუგდე სიტყვა, მარა ქე არ გედვირიე კეკალი კაცი. ხუთასი თუმანი ფულიო, დუჯინი ლებ-საბანი, დუჯინი კულეტკაო, კრაოტ, შკაფი, სარკე-საქარცხალი, საინი, სტაქანი, ხულო, ბელელი, ხარო, კაეჩიო და ვინ მოსთვლის რა არ ჩამომითვალა, სულყველაფერი ექნებაო.

პირდაპირ ზედგანოჭრილია, შვილო, შენთვის. პაწიას ოჯახსაც ქე უნდა წიებმარო. სახლი მაინც დავხურო ყავართ, თვარა ისლი თლათ დაღობა და სახში წყალი წურწურით ჩამოდის. ძალიან უნდა დოუკვირდე, შვილო, თავს თვარა ხომ იცი რაფა ვცხოვრობთ? ის თუმანიც ფარნას ვუყვებ გულმხნად. მეტი რაღა მოგწერო.

შენი მანა ნესტორი.

ვლ. ტევერელი.

ცნობათა მიღება



ზრახველს (სადგ. ყარაიაზი). ნიკოს სიფრთხილე მართებს, რომ მისი „ლილინი“.

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ
იქით გორასა ძრას ვუწამ.

ჩემს ვადამკიდე მუშკორებს —

სამსახურიდან ძრას ვუწამ, — პირიქით არ ახ-
დეს და არ გამართლდეს შებრუნებით.

კლანძს (ყარაიაზი). სხვა რომ არა იყოს რა, თა-
ვისთავეზე წერა უხერხულობაა. ხომ გაგიგონიათ: თავის
ქება კიტრად და, კირტი კაპეიკად, თუმცა კიტრი ეხლა
შაური ღირს, მაგრამ არც შაურიანი თავის ქებაა დიდი სა-
ხარბიელო.

ჩოხატაური: ვათავსებთ თქვენი ლექსის ნა-
წილს:

ანალიზადარეული

ზრავსტვითე კიტრია, დავი ჩანკაია,
ძმაო ამერიკა, ყანები კაკაია?

აქში, აქში, აქში... რაა ეს ყვავები?

ჩებმრღენი ვნახე და ხელით შევები.

ფრთხილად, მონოკლი არ დაუმტვრიოთ. დანარჩენი
დაიბეჭდება როცა ჭკუაზე მოხვალთ.

ბანდინანს (ს. ვანი, გურა) აქ არაფერიც არ არის
მიუხედავად.

კულაკი ბარნაბ იხევ
ყიდულობს სხვების მიწას
დად არის აღმასკომი?
ნეტავი, მას ვინ იცავს?

აღმასკომში, ალბად, ვილაც „დიდი კაცი“ ჰყავს.

„კომსომოლს“ (გომი, ქუთ. მაზრა). კომკავში-
რულ ანდრო თევზაძეზე გვწერთ, რომ მან უჯრედში:

შექმნა დიდი კინკლაობა,
ცმაუფილი იყო ამით.
მან სახელი მოიხვეჭა
რემედისის ფულის ცამით...

და თქვენ ის გადაგირიცხავთ გამფლანგველთა სია-
ში კანდიდატად. თავის მხრივ ჩვენ ვაყენებთ მას პარტ-
შემენლის კანდიდატად.

ნუსტის (ს. ჯვარცხმა, ჩოხატაური). მოვისმინეთ
თქვენი „ჩემი პრაექტი“ და თრიგინალური ფილოსოფი-
ური შეხედულება.

მუცული ჩვენი ექსპლათატორი და დაუნდობელი
მტერია. დავბაროთ იგი მილიციაში, მივსცეთ პირველი
და უკანასკნელი გაფრთხილება, რომ ჭამას თავი დაან-
ბოს. თუ მოიმიზევებს: თავი არა მაქვს — ვუთხრათ:
თავი არც ზოგიერთ გამგეს აქვს, მარა საქმეს ვი უძღვე-
ბიან, უთავობა და უშლის“...

ჩვენი მხრივ ასე დავეუბნებთ: უთავობა ზოგიერ-
თებს არც კორესპონდენციის წერაზე უშლის ხელს.

„სლოკუშპას“ (ვანი ქუთ. მაზ.) მიზეზი იმისა, რომ:

ლამპის შუშას ნომერ თერთმეტს
„ეპო“ „უილის თვრამეტად,
მაშინ, როცა საბითუმოდ
არ ღირს ცხრაზე მეტად, — არის ის, რომ
თქვენი მოხე, რომ ატარებს
მშვენიერს პორტფელსა
და პროცენტებს მეტის-მეტად
ადებს საქონელსა.

მანბარის (ველის-ციხე). აი, აღმასკომის თავმჯდო-
მარეც მასეთი უნდა, როგორიც თქვენ გეოლიათ:

როცა კლუბში კინო მიდის,
ვანო მოდის მთვრალი.
სკრის მავთულგებს და იძახის:
„მომეცით ჩემი ვალი“!

პაიპს (ჩოხატაური) თუ:
მუშკოობის ნოქარი
ცინცაძე ხანდრო,

არაფერში არის

ზრდელი და ხანდო, — ამის შესახებ

სჯობს მიმართოთ მუშკოობის გამგეობას.

ხოლო რაც შეეხება ნიკოფორეს ლიუბას, რომე-
ლიც იკლებს მთელ უბანს, — არც ეს არ არის ჩვენი სა-
ქმე. მილიციას მიმართეთ.

ზრ. მთიულს (სოფ. ქვიშეთში). რა გადარდებთ?
წმენდას რომც გადაურჩეს, ერთი თვის შემდეგ თავის-
თავად წავა კომკავშირელი დავითი, რომელიც
ავგისტოდან რომ დაიწყებს

დეკემბრამდე მუდამ ვაჭრობს.

ავგისტო ხომ მილე დადგება.

კატი ბუს. წერილი უნდა იწერებოდეს ქალაქის
ცალა გვერდზე და გარკვეული ხელით სტრიქონების ერთ-
მანეთზე დაწორებით. დაამუშავეთ ასე „პოეტის მარცხი“
და დაგებულად.

ფასკუნჯის (ოჭურგეთი). ვერ უშველის საქმის გა-
მოსწორებას, თორემ დაგებულადი. ყურნალ - გაზეთე-
ბის დაკარგვა - დაგვიანება, ეს ჩვეულებად გადაექცა
ფოსტას.

მაკალათია ვი ამბობს: „ტიტეს ჰკითხეთ, ან დათი-
ყოს“.

ტიტე ტკილად გიპასუხებს: „დაკარგულა და რა
გიყო“.

აბა ვნახოთ, ამიერიდან თუ ცოტათი მიინც ვაიბერ-
ტყონ ყური.

ბ-ჩის (ქუთაისი) ზღანოვიჩის ქუჩის შესახებ სწერთ,
რომ:

ალბად საფურთხებლები
იმისათვის ჩამწკრივებს...
ნავავი კი შიგ არა,
როგორც ფული ჩემს ჯიბეს.

უკანვე გიგზავნით ამ თქვენს წერილს იქ მოსათავ-
სებლად. შეიძლება თქვენს მაგალითს სხვებმაც მიჰბადოს
და ყოველივე ნავავი შიგ ჩაჰყარონ.

ტარაკოს (ახალდაბა) მიწა-ტყის კავშირის მდივანზე
(აბრამიშვილი) სწერთ, რომ:

გლებებს უყვირის, როგორც თავად
აწეული აქვს არშინზე ცხვირი.
მის ნახვას უნდა სამი დღე ძებნა
ცოხერიძისას მისვლა აქვს ხშირი.

არშინიანი ცხვირი მართლაც სასიფათოა (და ისიც
მალა აშვერილი). სასებით გეთანხმებით, რომ საქირთა
ცხვირის ძირს დაშვება“. ეს აბრამიშვილისთვისაც კარგია,
რადგან ცხვირს ასეთი თვისება აქვს: როცა აწეულია, მა-
შინ არის არშინიანი; ხოლო როცა დაწეულია — მა-
შინ ჩვეულებრივი სიდიდისაა.



კმტიანს (საყული, ქუთ. მაზრა). აღმასკომის თავ-
მჯდომარეზე გვწერთ, რომ ის ხშირად ქეიფობს კულა-
კებში და აზნაურებში, ამის დასამტკიცებლად მოგყავთ
სხვათა შორის, ის ამბავი, რომ:

კომკავშირის უჯრედმა
დაავალა მოხსენება.
მაგრამ ჩვენმა იუსტინემ
გადგვირდა და... არ ინება.
გადაცოცდა შუშანასთან,
მოგვატყუა, გვაცდევინა.
ამისთანა პარტიული
ტარტაროზმა შეარცხვინა.

— მუშკოებისა და საკონტროლო კომისიასაც და-
ვეუბნებდით ჩვენის მხრივ.

უაბტოროს (სვირი): კიდეც კარგი, რომ შეგარცხვე-
ნით ასეთი ლექსის დაწერა და ზედ თქვენი ვინაობა არ
მოგიწერიათ.

ეს კარგი ნიშანია.



რომელსაც მხარს უჭერს გაფხულების უმრავლესობა.